



MES 4 20 00366071



08/05/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 05/05/2020

სხდომის დაწყების დრო 17:30სთ

სხდომის დამთავრების დრო 17:45 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ნინო კვეციანი - შპს „აღმოსავლური საქართველოს“ დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანი ლელაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია

2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3.	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
4.	სწავლების ენა	ქართული
5.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
6.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26/03/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხობა

✓ კი

საბჭოს წევრმა, ნინო კეკელიძემ განაცხადა, რომ გახლავთ შპს „აღმოაჩინე საქართველოს“ დირექტორი და მისი კომპანია აქტიურად თანამშრომლობს როგორც შპს საქართველოს უნივერსიტეტთან ასევე შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუსთან. შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით ვერ მიიღებს კენჭის ყრის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნდამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება განსახილველად. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც 2020 წლის 13 მარტს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

2. მეორე საკითხი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3.	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
4.	სწავლების ენა	ქართული
5.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
6.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	01/04/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

✓ კი

საბჭოს წევრმა, ნინო კველიძემ განაცხადა, რომ გახლავთ შპს „აღმოაჩინე საქართველოს“ დირექტორი და მისი კომპანია აქტიურად თანამშრომლობს როგორც შპს საქართველოს უნივერსიტეტთან ასევე შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუსთან. შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით ვერ მიიღებს კენჭის ყრის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნდამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. იმ შემთხვევაში თუ საჩივარი

აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღება განსახილველად. შპს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც 2020 წლის 13 მარტს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

